

სამომგზაურო დაზღვევის პირობები #TRU/001/26

Travel Insurance Terms and Conditions #TRU/001/26

ძირითადი დაფარვაები / MAIN COVERAGE

სამომგაურო დაზღვევის პირობები / TRAVEL INSURANCE TERMS AND CONDITIONS #TRU/001/26

ბარმინთა განმარტება / DEFINITIONS

მზღვეველი / INSURER

სს „თიბისი დაზღვევა“, ჩვენ / JSC TBC Insurance, WE, US, OUR.

დამზღვევი / POLICYHOLDER

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც წინამდებარე პირობების საფუძველზე გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან და მითითებულია პოლისში, თქვენ / An individual or a legal entity entering into insurance agreement with the Insurer, in accordance with this Terms and Conditions and is stated in the Policy, YOU, YOUR.

თანადამზღვევი / JOINT POLICYHOLDER

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დამზღვევთან ერთად მონაწილეობს დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებაში და მითითებულია პოლისში როგორც თანადამზღვევი, ასეთის არსებობისას / An individual or a legal entity who enters into insurance agreement with the Insurer along with the Policyholder and who is stated on the Policy as the Joint Policyholder, if any.

დაზღვეული / INSURED

ფიზიკური პირი, რომელიც მითითებულია პოლისში და რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება დაზღვევა / An individual indicated in the Policy, who is entitled to receive insurance indemnification under present Terms and Conditions.

სადაზღვევო პოლისი / INSURANCE POLICY

მზღვეველსა და დამზღვევს/თანადამზღვევს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების დადების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია სადაზღვევო დაფარვის დეტალები და ლიმიტები / Document certifying validity of the insurance agreement between the Insurer and the Policyholder/Joint Policyholder, and stating details of insurance coverages and limits.

სადაზღვევო პერიოდი / INSURANCE PERIOD

სადაზღვევო პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია / Period of validity of cover as indicated in the Policy.

სადაზღვევო პრემია / INSURANCE PREMIUM

დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა / თანადამზღვევმა, (ასეთის არსებობისას,) უნდა გადაუხადოს მზღვეველს, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით / Cost of insurance to be paid by the Policyholder/Joint Policyholder (if any) to the Insurer, in the amount indicated in the Insurance Policy, according to the terms of payment.

მინიმალური სადაზღვევო პრემია / MINIMUM PREMIUM

მინიმალური საფასური, რომლის სანაცვლოდაც მზღვეველი გასცემს სადაზღვევო პოლისს / Minimum amount that the Insurer will charge to write an insurance Policy.

სადაზღვევო ლიმიტი/ქველიმიტი / LIMIT OF LIABILITY / SUB-LIMIT

სადაზღვევო პოლისში ან/და მის დანართში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს მაქსიმალურ შესაძლო სადაზღვევო ანაზღაურებას / Maximal amount that may be paid as insurance reimbursement, as indicated in the Insurance Policy and/or its Attachment.

დაფარვის ტერიტორია / TERRITORY OF COVER

ტერიტორია, რომელიც მითითებულია პოლისში და რომლის ფარგლებშიც მოქმედებს დაზღვევა / Territory indicated in the Policy within which the cover is valid.

სადაზღვევო შემთხვევა / INSURED EVENT

წინამდებარე დაზღვევის პირობებით განსაზღვრული შემთხვევა, რომლის დადგომისას მზღვეველს წარმოეშევა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება / Event specified in the Insurance Conditions upon occurrence of which the Insurer becomes responsible for paying reimbursement.

უბედური შემთხვევა / PERSONAL ACCIDENT

მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალ(ებ)ის ზემოქმედებით (მექანიკური, თერმული, ქიმიური), რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა, დაკარგვა ან გარდაცვალება / Any unexpected event caused by obvious external force(s) (mechanical, thermal, chemical), leading to health impairment, disability or death of the Insured.

სადაზღვევო ანაზღაურება / INSURANCE REIMBURSEMENT

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ შესაბამისი ლიმიტის/ქველიმიტის ფარგლებში გასაცემი თანხა / Amount within the corresponding limit / sub-limit to be paid by the Insurer in case of the Insured Event.

ფრანშიზა / DEDUCTIBLE

თანხა, რომელიც წარმოადგენს დაზღვეულის პასუხისმგებლობას, არ ანაზღაურდება მზღვეველის მიერ და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას, ყოველ და თითოეულ შემთხვევაზე. ფრანშიზის ოდენობა მითითებულია სადაზღვევო პოლისში ან/და მის დანართში / Amount within the responsibility of the Insured, not payable by the Insurer and to be deducted from the amount of reimbursement each and every occurrence, as indicated in the Insurance Policy and/or its Attachment.

ასისტანსი / ASSISTANCE

სპეციალიზებული მომსახურების მიმწოდებელი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს სადღელამისო სატელეფონო კონსულტაციას, დაზღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას / Company providing special assistance services, including 24-hour telephone consultations, information on insurance and arranging of medical services.

დაზღვევამდე არსებული დაავადება / PRE-EXISTING CONDITION

მოგზაურობამდე არსებული დაავადებები (მათ შორის ქრონიკული დაავადებები) და მათი გართულებები / Medical conditions that existed before travel (including chronic conditions) and their complications.

გადაუდებელი მდგომარეობა / EMERGENCY

უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის უეცარი გაუარესება, რომელიც საფრთხეს უქმნის დაზღვეულის სიცოცხლეს და საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, რომლის 24 საათზე მეტი ხნით გადავადებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზღვეულის სიკვდილი ან დაინვალიდება / Sudden deterioration of the Insured's health caused by personal accident or illness, requiring urgent medical care, where more than 24-hour delay may result in the Insured's death or disability.

რედმედის ვიდეო/აუდიო კონსულტაცია / REDMED VIDEO/AUDIO CONSULTATIONS

რედმედის მობაილ აპლიკაციით ან ვებგვერდზე redmed.ge, ჯანმრთელობის პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი სპეციალობის ექიმის ვიდეო ან აუდიო რჩევა / Video or audio specialist consultation depending on the type of medical problem, via mobile application or web site: redmed.ge.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება / AMBULANCE SERVICE

უბედური შემთხვევის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის უეცარი გაუარესების გამო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ დაზღვეულისათვის შემთხვევის ადგილზე გაწეული მომსახურება ან/და დაზღვეულის ტრანსპორტირება უახლოეს საავადმყოფოში, სადაც შესაძლებელია მისთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაწევა / In case of sudden deterioration of the Insured's health caused by personal accident or illness, medical services provided to the Insured by an ambulance brigade and/or transportation to the nearest hospital for adequate medical care.

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება / URGENT OUT- PATIENT SERVICES

ჯანმრთელობის მწვავე გაუარესების ან ტრავმის დროს დაზღვეულისთვის ისეთი სამედიცინო მომსახურების გაწევა, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებაში მის დაყოვნებას 24 საათზე ნაკლები დროით / Medical services provided to treat acute illness or trauma and requiring less than 24-hour stay in the clinic.

**გადაუდებელი ჰოსპიტალური
მომსახურება / URGENT IN-PATIENT
SERVICES**

ჯანმრთელობის მწვავე გაუარესების ან ტრავმის დროს დაზღვეულისთვის ისეთი სამედიცინო მომსახურების გაწევა, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებაში/ჰოსპიტალში მის განთავსებას 24 საათზე მეტი დროით / Medical services provided to treat acute illness or trauma and requiring more than 24-hour stay in the hospital.

**გადაუდებელი ჰოსპიტალური
მომსახურებისას მკურნალობა
რეანიმაციულ განყოფილებაში /
URGENT IN-PATIENT SERVICES IN THE
INTENSIVE CARE UNIT (ICU)**

ჯანმრთელობის მწვავე მოშლის დროს, მათ შორის ქირურგიული მკურნალობის შემდეგ, სამედიცინო ჩვენებისას სამკურნალო დაწესებულების რეანიმაციულ ან/და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დიაგნოსტიკა, კონსერვატიული მკურნალობა, მოვლა და დაყოვნება / Diagnostics, conservative treatment, care and stay in the in-hospital emergency room / intensive care unit because of acute health impairment, including after surgery.

**გადაუდებელი ჰოსპიტალური
მომსახურებისას ქირურგიული
მკურნალობა / URGENT IN-PATIENT
SURGICAL TREATMENT**

ჯანმრთელობის მწვავე მოშლის დროს, სამედიცინო ჩვენებისას, ქირურგიული მკურნალობა და მასთან დაკავშირებული დიაგნოსტიკა / Surgical treatment and the related diagnostics due to acute health impairment.

**სამედიცინო ევაკუაცია / MEDICAL
EVACUATION**

სამედიცინო პერსონალის თანხლებით (თუ ასეთი აუცილებლობა არსებობს) დაზღვეულის ევაკუაცია საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული სამკურნალო დაწესებულებიდან თბილისის/ქუთაისის აეროპორტამდე ან საქართველოს უახლოეს სასაზღვრო გამტარ პუნქტამდე / Evacuation of the Insured with medical attendance (if needed) from the foreign clinic to the Tbilisi/Kutaisi airport or the nearest Georgian border post.

**რეპატრიაცია/ადგილზე
დაკრძალვა / REPATRIATION /
LOCAL FUNERAL**

მოგზაურობის განმავლობაში უბედური შემთხვევის ან უეცარი ავადმყოფობის შედეგად დაზღვეულის გარდაცვალებისას, ცხედრის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში რეპატრიაცია ან ადგილობრივი დაკრძალვა / In case of death of the Insured occurred during the travel in the result of personal accident or acute illness, repatriation of the mortal remains to the Tbilisi international airport or local funeral.

**გადაუდებელი სტომატოლოგიური
მომსახურება / URGENT DENTAL
CARE**

ლიცენზირებული სტომატოლოგის მიერ ჩატარებული კბილის მწვავე ტკივილის გაყუჩება ან/და კბილის გადაუდებელი ექსტრაქცია / Acute pain relief and/or urgent tooth extraction by a licensed dentist.

**გადაუდებელი ოფთალმოლოგია /
URGENT OPHTHALMOLOGY CARE**

თვალის ტრავმული დაზიანების შემთხვევაში, დაზღვეულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება / Medical aid in case of eye injury.

**COVID-19-თან დაკავშირებული
მკურნალობა / COVID-19 RELATED
TREATMENT**

საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შემდგომ PCR-მეთოდით დადასტურებული, COVID-19-ის სამედიცინო ჩვენებით და პროტოკოლით/გაიდლაინით ჩატარებული მკურნალობის ხარჯები, შესაბამისი დაფარვის ქველიმიტის ფარგლებში და შესაბამისი ფრანშიზის გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს არ ფარავს მიმღები ქვეყანა. არ იფარება SARS-CoV-2-ის სავალდებულო და გამოსარიცხი ტესტები და კარანტინთან/თვითიზოლაციასთან დაკავშირებული ხარჯები / Costs related to treatment of Covid-19 confirmed by PCR test performed after leaving the territory of Georgia, within the relevant service sub-limit and less applicable deductible, provided such treatment costs are not covered by the recipient country. Treatment should be performed according to medical protocols/guidelines and indications. The policy does not cover costs of obligatory SARS-CoV-2 tests, tests to rule out presence of SARS-CoV-2, as well as costs related to quarantine or self-isolation.

1. სადაზღვევო დაფარვა

სადაზღვევო დაფარვა ითვალისწინებს, პოლისში მითითებულ დაფარვის ტერიტორიაზე, სადაზღვევო პერიოდში მოგზაურობისას დამდგარ, გაუთვალისწინებელ/გადაუდებელ ავადმყოფობასთან ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული სამედიცინო ან/და სამედიცინო ევაკუაციის/რეპატრიაციის ხარჯების ანაზღაურებას, წინამდებარე დაზღვევის პირობებით განსაზღვრული და სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტ(ებ)ის/ქველიმიტ(ებ)ის ფარგლებში.

ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ ჩვეულებრივ და გონივრულ ფარგლებში გაწეულ სამედიცინო დახმარების ხარჯებს. ჩვეულებრივ და გონივრულ ფარგლებში გაწეული სამედიცინო ხარჯები ნიშნავს ადგილობრივ, სტანდარტულ გადასახადებს და სხვა გადასახდელებს, რომლებიც არსებობს მსგავსი სახის და სიმწვავის შემთხვევათა სამკურნალოდ.

ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ საქართველოს საზღვრებს გარეთ, დაფარვის ტერიტორიაზე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებით გამოწვეული სამედიცინო დახმარების ხარჯებს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაწეული სამედიცინო ხარჯები არ ანაზღაურდება. ამასთან, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაწყებული ჰოსპიტალური მკურნალობის შემთხვევაში, რომელიც უწყვეტად გრძელდება სადაზღვევო პერიოდის ამოწურვის შემდგომ და რომელიც არ წარმოადგენს გამონაკლისს წინამდებარე დაზღვევის პირობებით, ანაზღაურებას ექვემდებარება სადაზღვევო პერიოდის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით გაწეული სამედიცინო ხარჯებიც, შესაბამისი დაფარვით გათვალისწინებული ლიმიტის/ქველიმიტის ფარგლებში.

1. INSURANCE COVERAGE

The present insurance covers cost of medical services and/or medical evacuation/repatriation due to an unforeseen/urgent illness or personal accident occurring within the territory of cover during the Insurance Period, within the limit(s)/sub-limit(s) specified by the present conditions and indicated in the Insurance Policy.

We will reimburse only reasonable and customary medical expenses. Reasonable and customary medical expenses are defined as standard local costs of treatment of similar conditions.

We will reimburse only those medical expenses that result from events occurring within the territory of cover and outside the territory of Georgia. Any medical expense incurred in Georgia shall not be reimbursed. In case hospital treatment started during the Insurance Period and continued uninterruptedly after its expiry, provided that such treatment/expenses are medically prescribed and are not excluded under present conditions, expenses shall be reimbursed within the limit / sub-limit specified for the service, but not exceeding 15 (fifteen) calendar days after the policy expiry date.

პოლისის ფარგლებში ასევე იფარება COVID-19-ის მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები, შესაბამისი დაფარვით გათვალისწინებული ლიმიტის/ქველიმიტის ფარგლებში.

დეტალური ინფორმაცია პოლისით დაფარული მომსახურებების, ლიმიტებისა და ფრანშიზების შესახებ მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

2.სადაზღვევო პერიოდი

ხანმოკლე მრავალჯერადი პოლისის სადაზღვევო პერიოდი (არაუმეტეს 365 დღისა) იწყება პოლისში მითითებული საწყისი თარიღის 00:00 საათზე და ძალაშია პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღის 23:59 საათამდე. ამავდროულად, მოგზაურობათა რაოდენობა შეუზღუდავია, დაფარვა აქტიურდება საქართველოს საზღვრის ყოველ გადაკვეთაზე და ძალაშია მთელი მოგზაურობის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღის 23:59 საათისა.

წლიური მრავალჯერადი პოლისის სადაზღვევო პერიოდი იწყება პოლისში მითითებული საწყისი თარიღის 00:00 საათზე და ძალაშია 1 (ერთი) წლის განმავლობაში. ამავდროულად, დაფარვა აქტიურდება საქართველოს საზღვრის ყოველ გადაკვეთაზე და ძალაშია დაფარული დღეების განმავლობაში. დაფარული დღეების რაოდენობა განისაზღვრება პოლისით.

3. დაფარვის ტერიტორია

დაფარვის ტერიტორია განისაზღვრება მთელი მსოფლიოთი, შემდეგი პირობით:

- დაფარვა არ ვრცელდება შემდეგ ქვეყნებში: ერაყი, ავღანეთი, სომალი, ასევე ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს საომარი მოქმედებები.

Policy also covers COVID-19 related treatment within the limit / sub-limit specified for the service.

See the detailed information about the covered services, limits and deductibles in the Table below.

2.INSURANCE PERIOD

Insurance period (not exceeding 365 days) of a short-term multi entry Policy starts at 00:00 hours of the start date indicated in the Policy and expires at 23:59 hours of the end date indicated in the Policy. At the same time, number of trips is unlimited. Cover enters into force upon each crossing of the Georgian border and is valid during the whole period of each trip, but no later than 23:59 hours of the end date indicated in the Policy.

Insurance period of an annual multi entry Policy starts at 00:00 hours of the start date indicated in the Policy and is valid for 1 (one) year thereafter. At the same time, cover enters into force upon each crossing of the Georgian border and is valid during covered days. Number of covered days is indicated in the Policy.

3. TERRITORY OF COVER

Territory of cover is worldwide, subject to the following conditions:

- The following countries shall be excluded from cover: Iraq, Afghanistan, Somali and any territories of war.

- დაფარვა არ მოქმედებს იმ ტერიტორიებზე/ქვეყნებზე, რომლებიც მითითებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ, მოგზაურობისთვის არარეკომენდირებული ქვეყნების სიაში.
- დაფარვა არ ვრცელდება იმ ქვეყნებში, რომლის მოქალაქეც არის დაზღვეული ან/და იმ ქვეყნებში, რომლებშიც დაზღვეულს გააჩნია მუდმივი ან დროებითი ბინადრობის უფლება.

4. დაზღვეულის ჟამდაბები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

დაუყოვნებლივ სადაზღვევო შემთხვევისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) საათისა, დაზღვეული ან მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაგვიკავშირდეს და მოგვანოდოს ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, შემდეგ სატელეფონო ნომერზე დაკავშირების გზით:

- კომპანიის სტაციონარული ნომერი: +995 32 2 42 11 11

თუ ჩვენთან დაუყოვნებლივ დაკავშირება შეუძლებელია საპატიო მიზეზის გამო, სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება აუცილებლად უნდა განხორციელდეს სამედიცინო მომსახურეობის მიღების დასრულებამდე.

ჩვენთან დაკავშირებისას, დაზღვეულის იდენტიფიცირების მიზნით, ჩვენთვის უნდა მოხდეს შემდეგი ინფორმაციის მოწოდება:

- დაზღვეულის სახელი, გვარი
- პოლისის ნომერი
- პასპორტის ნომერი

- The cover is not valid in respect of territories/countries for which the Georgian Foreign Office has issued a travel warning.
- The cover is not valid in those countries where the Insured has citizenship and/or the right of permanent or temporary residence.

4. IN CASE OF INSURED EVENT

Immediately upon the occurrence and not later than within 48 (fourty eight hours), the Insured or his/her representative must contact us and inform about the insured event, through the following telephone number:

- Company land line: +995 32 2 42 11 11

If due to objective reasons you cannot contact us immediately, notification must be made before the end of medical treatment.

In order to properly identify the Insured we will need the following informations:

- First name and family name of the Insured
- Policy number
- Passport number

5. სამედიცინო მომსახურების მიღების წესი

სამედიცინო მომსახურება

მას შემდეგ, რაც მოხდება ჩვენს მიერ დაზღვეულის იდენტიფიცირება, თქვენ მიიღებთ ინფორმაციას/მითითებებს იმ სამედიცინო პროვაიდერების შესახებ, რომელთაც შეგიძლიათ მიმართოთ სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

ჩვენი მითითებების დარღვევით არა პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მიღების შემთხვევაში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას უარი ვთქვათ ზარალის ანაზღაურებაზე.

სამედიცინო მომსახურების ჩვენს პროვაიდერთან მიღების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება ჩვენს მიერ პირდაპირ პროვაიდერი დაწესებულებისთვის, სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტისა და ფრანშიზის ოდენობის გათვალისწინებით. თუ სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს ფრანშიზას კონკრეტულ სამედიცინო მომსახურებაზე, ფრანშიზის თანხის პროვაიდერისთვის გადახდა დაზღვეულის ვალდებულებაა.

ჩვენს მიერ პროვაიდერი დაწესებულებისათვის მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად, პროვაიდერმა დაწესებულებამ უნდა მოგვაწოდოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სამედიცინო დოკუმენტაცია (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, დაზღვეულის ავადმყოფობის ისტორია)
- გაწეული მომსახურების ჩამონათვალი და ანგარიშ-ფაქტურა
- დაზღვეულის პასპორტისა და სადაზღვევო პოლისის ასლები
- დამატებით უბედური შემთხვევისას - შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა.

5. HOW TO RECEIVE MEDICAL SERVICES

MEDICAL SERVICES

After we identify the Insured, you will receive information/instructions about the available medical providers.

If contrary to our instructions, you receive medical services at a non-provider clinic, we shall have the right to refuse indemnification.

If you apply to our medical provider, we will pay the cost of treatment directly to the provider, within the policy limit and less any applicable deductible. Amount of deductible must be paid by the Insured.

In order to pay the bill directly to the provider, the provider will need to forward us the following documents:

- Medical documents (including medical history, if needed)
- List of the provided services and invoice
- Copies of the Insured's passport and policy
- In case of personal accident, also a certificate issued by a competent authority of the country.

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას ჩვენთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე და თავად გადაიხდის მომსახურების საფასურს, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

რედმედის ექიმის ვიდეო/აუდიო რჩევის მისაღებად, დაზღვეულმა უნდა მოგვმართოს ცხელ ხაზზე: +995 32 2 42 11 11. ჩვენთან დაკავშირებისას, ჩვენ გადმოგცემთ სპეციალურ კოდს. კონსულტაციის მისაღებად უნდა გადმოტვირთოთ რედმედის მობაილ აპლიკაცია და გაიაროთ რეგისტრაცია. ვიდეო/აუდიო რჩევის დაჯავშნისას, უნდა მიუთითოთ ჩვენს მიერ მოწოდებული კოდი, რა შემთხვევაშიც მომსახურებას უფასოდ მიიღებთ.

კოდის გარეშე მიღებული მომსახურების ღირებულება ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

სამედიცინო ევაკუაცია / რეპატრიაცია

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი და ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარე სადაზღვევო შემთხვევისას, ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვახდინოთ დაზღვეულის საქართველოში სამედიცინო ევაკუაცია, დაზღვეულთან/დაზღვეულის უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი, მკურნალ ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე, შესაძლოდ ჩათვლის დაზღვეულის სამედიცინო ევაკუაციას და შესთავაზებს დაზღვეულს/დაზღვეულის უფლებამოსილ პირს, მაგრამ დაზღვეული/დაზღვეულის უფლებამოსილი პირი უარს იტყვის დაზღვეულის საქართველოში ევაკუაციაზე და არ წარმოადგენს მოტივირებულ სამედიცინო დასკვნას, რომლითაც დადასტურდება, რომ ევაკუაცია საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ჩვენ სრულად ვთავისუფლებით დაზღვეულის ჰოსპიტალიზაციისა და ევაკუაციის ხარჯების ანაზღაურებისგან.

If the Insured applies to any medical institution without notifying us in advance, and pays the full cost of treatment, we retain the right to reject the claim for reimbursement.

For REDMED consultation Insured shall contact Us at company hotline: +995 32 2 42 11 11. We shall give you a special code. You will need to download the REDMED mobile application and register in the system. In order to book an audio/video consultation you must indicate the code, in which case the service will be free.

Cost of service received without the code will not be reimbursed.

MEDICAL EVACUATION/REPATRIATION

In case of an insured event occurred or ongoing during the insurance period, we have the right to arrange the Insured's medical evacuation to Georgia, upon agreement with the Insured / Insured's authorized representative.

If our group of experts, based on consultations with the treating physician, offers to the Insured/Insured's authorized representative to arrange medical evacuation, but the later rejects the offer without giving a sound medical conclusion stating that evacuation would impose a risk to life or health of the Insured, we shall be fully released of our liability to reimburse any hospital and evacuation expenses.

დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ცხედრის საქართველოში რეპატრიაციის ან ადგილზე დაკრძალვის ხარჯების ადგილზე გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა გადახდის ქვითარში გადამხდელად მითითებულ პირზე. გადამხდელი პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის პირველი რიგის სამართალმემკვიდრეზე, გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ცხედრის რეპატრიაციის/ადგილობრივი დაკრძალვის ხარჯები დაფარა იმ სახელმწიფომ, რომლის მოქალაქეც იყო დაზღვეული.

6. ჩვენთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია და მისი წარმოდგენის ვადაები

დოკუმენტაციის ჩამონათვალი და ვადაები

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულმა, პაციენტმა/მისი მკურნალობის გამომწვევმა მოახერხა დადგენილ ვადებში ჩვენთვის შეტყობინების განხორციელება ან ჩვენთვის შეტყობინების განხორციელების შემდეგ არაპროვადერ სამედიცინო დაწესებულებაში დამოუკიდებლად დაფარა სამედიცინო ხარჯები, საქართველოში დაბრუნებისას ან გარდაცვალების შემთხვევაში, ცხედრის რეპატრიაციიდან/დაკრძალვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, დაზღვეულმა/დამზღვევმა/სხვა დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოგვიდგინოს შემდეგი საბუთები:

- წერილობითი განცხადება ზარალის ანაზღაურებაზე;
- სადაზღვევო პოლისი;
- სამედიცინო სერტიფიკატების ორიგინალები, სადაც მითითებული იქნება დაზღვეულის გვარი, სახელი, დიაგნოზი, გაწეული სამედიცინო დახმარება, მკურნალობა, გაწეული სამედიცინო მომსახურებების ღირებულება;

In case of repatriation of the mortal remains or local funeral following the death of the Insured, reimbursement shall be paid to the person indicated as a payer in the payment receipt. If the payer cannot be identified, reimbursement will be paid to the heir apparent, based on the payment receipt. Insurance reimbursement shall not be paid if the cost of repatriation/local funeral was covered by the country of citizenship of the Insured.

6. TERMS AND CONDITIONS OF SUBMITTING THE DOCUMENTS

LIST OF DOCUMENTS AND TERMS OF SUBMISSION

If due to some objective reasons the Insured did not notify us within the fixed terms about the insured event, or after leaving a notification he/she applied to another medical institution than suggested by us and covered medical expenses at place, Insured/Policyholder/any other interested party must present the following documents within 30 (thirty) calendar days after Insured's return to Georgia / repatriation of mortal remains / local funeral:

- Written claim for reimbursement;
- Insurance Policy;
- Original medical certificates with indication of the Insured's name, family name, diagnosis, the list of medical services and treatment provided with indication of costs;

- ექიმების და სამედიცინო დაწესებულების ანგარიშების ორიგინალები ან შესაბამისი წესით დამოწმებული ასლები/დუბლიკატები;
- პასპორტი ან ცნობა, სადაც აღნიშნული იქნება საქართველოს საზღვრის გადაკვეთის/გადმოკვეთის თარიღები;
- უბედური შემთხვევისას - კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- ცხედრის რეპატრიაციის/ადგილობრივი დაკრძალვის შემთხვევაში - ცნობა გარდაცვალების შესახებ, ექიმის დასკვნა სიკვდილის მიზეზის მითითებით და რეპატრიაციის/ადგილობრივი დაკრძალვის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

დოკუმენტაციასთან და მის წარმოდგენის ვადებთან დაკავშირებული დამატებითი პირობები

ჩვენთვის სადაზღვევო შემთხვევის გასაცხადებლად ან/და დოკუმენტაციის წარმოსადგენად წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში, ჩვენ ვთავისუფლებით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ვადაგადაცილება ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებ(ებ)ით.

საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვითხოვოთ დამატებითი საბუთების წარმოდგენა. დამატებით მოთხოვნილი საბუთების წარმოდგენა უნდა მოხდეს მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვითხოვოთ დაზღვეულისაგან წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნოტარიულად დამტკიცებული თარგმანი (დოკუმენტაციის თარგმანის და ნოტარიულად დამტკიცების ხარჯები წარმოადგენს დაზღვეულის/დამზღვევის

- Original medical reports or duly certified copies;
- Passport or any certificate stating the dates of crossing the Georgian border;
- In case of personal accident – document issued by competent authorities certifying the fact of personal accident;
- In case of repatriation of mortal remains/local funeral – death certificate, medical conclusion of death with indication of the reasons, and document(s) certifying the repatriation/local funeral expenses.

ADDITIONAL CONDITIONS RELATING TO DOCUMENT SUBMISSION

In case of breach of the above terms, we shall be released from our liability to reimburse the expenses, except for those cases when the delay in submission is due to objective reasons confirmed by proper evidence.

We have the right to request additional documents, if necessary. Those additional documents must be presented within 30 (thirty) calendar days after the request.

We have the right to request translation of the submitted documents, duly certified by the notary (cost of translation and notary services shall be covered by the Insured), unless the documents are submitted in the English language. At the same

ვალდებულებას), გარდა ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი საბუთებისა. ამასთან, ჩვენი მოთხოვნისას, თქვენ ვალდებული ხართ მოგვანიჭოთ მესამე პირებისგან (ექიმები, ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება და სხვ.) სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოთხოვნის უფლება და საჭიროების შემთხვევაში, გაათავისუფლოთ ეს პირები ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებისაგან.

7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები

ასანაზღაურებელი თანხის ჩარიცხვა მოხდება წინასწარ შეთანხმებულ საბანკო ანგარიშზე, ჩვენს მიერ მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8. გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევის პირობები არ ითვალისწინებს შემდეგი სახის მომსახურებების ხარჯების ანაზღაურებას:

- დაფარვის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ან საქართველოს ტერიტორიაზე დამდგარ უბედურ შემთხვევასთან ან ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- თანდაყოლილი, გენეტიკური დაავადებების, პათოლოგიების, დეფექტების და მათი გართულებების გამოკვლევასა და მკურნალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- ისეთი შემთხვევები, როდესაც მოგზაურობა გამიზნულია სამედიცინო მომსახურების ან კონსულტაციის მისაღებად, მათ შორის ასეთი მომსახურების შედეგად დაზღვეულის რეანიმაციულ/ინტენსიურ განყოფილებაში მოთავსების ხარჯები;

time, upon our request, you must empower us with the right to request claim related information and/or documents from the third parties (doctors, medical establishments, etc.), and release those parties from their liability to maintain confidentiality.

7. TERMS AND CONDITIONS OF REIMBURSEMENT

The amount of reimbursement shall be transferred to the agreed bank account, within 5 (five) working days after receipt of all the requested documents.

8. EXCLUSIONS

Expenses related to the following shall not be reimbursed hereunder:

- Costs related to Personal accident or health impairment occurred outside the territory of cover or on the territory of Georgia;
- Cost of any medical services related to congenital or genetic diseases, defects or anomalies, or their complications;
- Travel for the sole purpose of medical treatment or consultations, including the cost of treatment in the intensive care unit;

- დაზღვევამდე არსებული დაავადებები და მათი გამწვავებები / გართულებები ან მოგზაურობამდე გამოვლენილი დაავადებები და მათი გართულებები, გარდა გადაუდებელი მდგომარეობების მკურნალობის ხარჯებისა, შესაბამისი დაფარვით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში და ამავე დაფარვით გათვალისწინებული ფრანშიზის თანხის გამოკლებით. დაზღვეულის სიცოცხლის გადასარჩენად მიმართული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ გაწეული ხარჯები ან/და რეპატრიაციის ხარჯები ანაზღაურებას არ ექვემდებარება;
- იმ დაავადების ხარჯები, რომელიც ხელს არ უშლის დაზღვეულს მოგზაურობის გაგრძელებაში და არ საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას;
- იმ შემთხვევაში, როდესაც წინამდებარე დაზღვევის პირობებში მითითებული გამონაკლისების მიხედვით არ ხდება მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება, ასევე არ მოხდება სამედიცინო ევაკუაციის/რეპატრიაციის ხარჯების ანაზღაურება;
- არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებსა და სამედიცინო საქმიანობის უფლების არმქონე კერძო პირებთან კონსულტაციისა და მკურნალობის ხარჯები;
- ფსიქოთერაპიასთან, ფსიქიურ, ფსიქოსომატურ მკურნალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი;
- ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოკვლევის, მანიპულაციისა და მკურნალობის ხარჯები;
- კონტრაცეფციის, უნაყოფობის კვლევის და მკურნალობის ხარჯები;
- Pre-existing conditions and their complications, or conditions that manifested before the travel and their complications, except for emergency cases, within the respective service limit and less deductible amount stipulated for this service. Any further medical and/or repatriation expenses incurred after completion of urgent life-saving treatment shall not be reimbursed;
- Medical conditions that do not require urgent medical intervention and do not prevent the trip;
- Where medical treatment due to certain conditions is excluded hereunder, evacuation/repatriation for the same reason will also be excluded;
- Consultations or treatment provided by a non-licensed medical establishment or private practitioner;
- Psychotherapy, treatment of any psychiatric or psychosomatic conditions;
- Any tests, procedures or treatment related to pregnancy or delivery;
- Any contraception or infertility treatment;

- ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ალკოჰოლური ნივთიერებების ან ექიმის დანიშნულების გარეშე მიღებული წამლების მოხმარების შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულ ჯანმრთელობის დაზიანებებთან დაკავშირებული ხარჯები;
- შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, პარენტერალური გზით გადამდები ჰეპატიტების და მათ გართულებებთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მკურნალობის ხარჯები;
- სათვალის, ლინზების, კონტაქტური ლინზების და სმენის აპარატის შერჩევასა და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- სარეაბილიტაციო მკურნალობა, სამედიცინო მასაჟი, ვარჯიში, ფიზიოთერაპია, ლაზეროთერაპია და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის ხარჯები;
- პროთეზირების, იმპლანტაციის და ტრანსპლანტაციის ხარჯები;
- ნებისმიერი სახის აცრასთან დაკავშირებული ხარჯები (გარდა ანტიტეტანურისა და ანტირაბიული აცრებისა);
- ნეიროქირურგიული ოპერაციის ხარჯები; კარდიოქირურგიული და კარდიონავაზიური მკურნალობის ხარჯები;
- კანონსაწინააღმდეგო ქმედებისას, თვითდაშავებით, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებებით გამოწვეული ხარჯები;
- შემთხვევებს, რომლებიც გამოწვეულია დაზღვეულის მიერ არააუცილებელ სიფათში თავის ჩაგდებით, გარდა იმ
- Health impairment directly or indirectly caused by narcotic, psychotropic substances or alcohol, or by any medications taken without medical prescription;
- AIDS, sexually transmitted diseases, parenterally transmitted hepatitis and any of their complications;
- Cost of eye-glasses, contact lenses and hearing aids, and any tests performed for the selection of those;
- Rehabilitation treatment, medical massage, physical exercises, physiotherapy, laser therapy, cosmetic treatment;
- Prosthetic treatment, implantation or transplantation;
- Vaccination, other than anti-tetanus and antirabic vaccination;
- Neurosurgery, cardiac surgery or other cardioinvasive treatment;
- Health impairment occurred during any illegal actions, self inflicted injury, committed or attempted suicide
- Exposing oneself to unnecessary hazard, except for life saving purposes;

შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია სხვისი სიცოცხლის გადარჩენის აუცილებლობით;

- საჰაერო ან სარკინიგზო კატასტროფით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- ომით (მათ შორის, სამოქალაქო), ნებისმიერი სახის შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებებით, ტერორისტული აქტებით ან აჯანყებითა და დემონსტრაციებით განპირობებული ჯანმრთელობის დაზიანება; ასევე შეიარაღებული ძალების მანევრებსა და საწვრთნელ მეცადინეობებში მონაწილეობისას მიღებული დაშავებით გამოწვეული მკურნალობის ხარჯები;
- შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია დაზღვეულის პროფესიულ ან/და ექსტრემალურ სპორტში, დოღებში ან/და რბოლებში მონაწილეობასთან, ალპინიზმსა და კლდზე ცოცვასთან, დელტაპლანით, პარაპლანით ან/და პარაშუტით ხტომასთან, ვერტმფრენიდან ხტომით და/ან გაუკვალავ თოვლში სრიალთან, წყალქვეშა ყვინთვასთან და კვადროციკლით გადაადგილებასთან ან სხვა აქტივობასთან, რომელიც შეიცავს დაშავების მომატებულ რისკს. ;
- რადიოაქტიური წყაროს ზემოქმედებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- პანდემიებით, ეპიდემიებით (გარდა COVID-19-თან დაკავშირებული შემთხვევებისა), გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ყოველგვარი ხარჯები, გაწეული გადაუდებელ სამედიცინო ევაკუაციაზე, რომელიც წინასწარ იქნა დამოწმებული მზღვევლის ან პოლისში მითითებული საერთაშორისო ასისტანსის მიერ;
- Any air or railway accident;
- Health impairment due to war (including civil war), military actions, acts of terrorism, riots or demonstrations; treatment of bodily injuries incurred whilst participating in military exercises;
- Participation in any professional and/or hazardous sports, horse races and/or rallies, alpinism and rock climbing, hang-gliding, paragliding and/or parachuting, heli-skiing/snowboarding and off-piste skiing/snowboarding), scuba diving and Quadro cycling or other high risk activities.
- Any health impairment related to radioactive exposure;
- Pandemics, epidemics (except for COVID-19 related cases), environmental pollution or natural disasters;
- Any expenses related to urgent medical evacuation not pre-authorized by the Insurer or the International Assistance indicated in the Policy;

- დაზღვეულის საზღვარგარეთ დასაქმების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა დაზღვეულს შესაბამის ქვეყანაში დასაქმების უფლება), იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რაც დაკავშირებულია საქმიანობის პროცესში მიღებულ ჯანმრთელობის დაზიანებასთან ან გამომდინარეობს ასეთი დასაქმებიდან. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პუნქტი არ შეეხება საზღვარგარეთ საქმიანი ვიზიტით მყოფ საქართველოში დასაქმებულ პირს;
- ხარჯები, რომლებიც დაიფარება სხვა სადაზღვევო პოლისებით.

9. სხვა მნიშვნელოვანი პირობები

- დაზღვევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად;
- დაზღვევა ძალაშია მხოლოდ სადაზღვევო პოლისში მითითებულ დაფარვის ტერიტორიაზე და სადაზღვევო პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევისას;
- სავალდებულო პირობაა, რომ სადაზღვევო პოლისის შექენისას დაზღვეული პირი იმყოფებოდეს საქართველოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას;
- სადაზღვევო პრემია გადაიხდება ერთიანად, პოლისის გაცემისთანავე;
- თუ დამზღვევთან ერთად პოლისით გათვალისწინებული თანადამზღვევი, პოლისის გაცემა მოხდება დამზღვევის მიერ მისი წილი პრემიის სრულად გადახდისას;
- სადაზღვევო პოლისი ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღის 00:00 საათზე, საქართველოს საზღვრის გადაკვეთისთანავე, იმ პირობით, რომ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პრემია სრულად არის გადახდილი;
- იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება პოლისით განსაზღვრული პრემიის სრულად გადახდა საქართველოს საზღვრის გადაკვეთამდე, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

- Any health impairment sustained during or related to the employment abroad, regardless of whether employment was legal or illegal. This exclusion does not apply to persons employed in Georgia whilst on a business trip abroad;

- Expenses covered by any other policy.

9. OTHER IMPORTANT CONDITIONS

- This insurance is governed by Georgian legislation and the present insurance conditions;
- The insurance applies only to those insured events that occurred during the insurance period, within the territory of cover;
- At the time of purchasing of Insurance Policy the Insured must be in Georgia, otherwise the cover shall not be valid;
- Insurance premium shall be paid in one-time payment upon Policy issuance.
- Where Policy includes Joint Policyholder, Policy shall be issued only after the Policyholder fully pays his/her portion of the premium;
- Insurance Policy enters in force at 00:00 of the start date of insurance period, upon crossing of the Georgian border, subject to full payment of insurance premium;
- If the premium is not paid in full before crossing the Georgian border, the cover shall not be valid;

- სადაზღვევო პოლისი ჩაითვლება ანულირებულად, თუ არ მოხდება პოლისით განსაზღვრული პრემიის სრულად გადახდა, პოლისით გათვალისწინებული გადახდის დღის მომდევნო კალენდარული თვის 1 რიცხვამდე;
- ჩვენ უფლებამოსილი ვართ გადავამოწმოთ სადაზღვევო შემთხვევისა და დანახარჯების სისწორე;
- საჭიროებისას, ჩვენი ნდობით აღჭურვილ ექიმ-ექსპერტი უფლებამოსილია ჩაუტაროს გამოკვლევა დაზღვეულს და გაეცნოს მის ავადმყოფობის ისტორიას;
- წინამდებარე სადაზღვევო პირობების ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დაზღვევის პირობების ქართულ ვერსიას.

10. სადაზღვევო პოლისის მოქმედების დასრულება და შეწყვეტა

- სადაზღვევო პოლისის მოქმედება დასრულდება ჩაითვლება:
 - პოლისის მოქმედების ვადის ამოწურვისას;
 - პოლისით ან/და მისი დანართით გათვალისწინებული ანაზღაურების ლიმიტ(ებ)ის ამოწურვისას;
 - დაზღვეულის მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას;
 - პოლისით განსაზღვრული დაზღვეული დღეების სრულად ამოწურვისას.
- სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდეგ სამოგზაურო დაზღვევის პოლისის გაუქმების შემთხვევაში, სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება (თუ პოლისით სხვა პირობა არ დგინდება);
- სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე სამოგზაურო დაზღვევის პოლისის გაუქმების წერილობითი მოთხოვნა უნდა მოგვეწოდოს სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე მინიმუმ 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე, წინააღმდეგ

- If the insurance premium is not paid in full until the end of the calendar month in which the Policy was issued, the Policy shall be null and void;
- We are entitled to check the details of the insured event or the incurred costs;
- Should we find it necessary, our medical expert is entitled to examine the Insured and check hi/her medical history;
- In case of any discrepancy between the Georgian and English versions, the Georgian version shall prevail.

10. TERMINATION AND CANCELLATION OF THE INSURANCE POLICY

- Insurance Policy shall be terminated upon:
 - Expiry of the policy period;
 - Expiry of the limit(s) indicated in the Policy and/or any of its attachments;
 - Insured returning to Georgia, from the moment of crossing the border;
 - Expiry of the duration of stay indicated in the Policy.
- If the Policy is cancelled after the start date of insurance period, the insurance premium will not be returned (if not stated otherwise in the policy);
- If a written demand for policy cancellation is not submitted to Us at least 24 (twenty-four) hours before the start date of the Policy, the insurance premium will not be returned.

შემთხვევაში სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება.

11. დავათა გადაწყვეტა

წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით ჩვენს შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

12. კონფიდენციალობა

ჩვენს მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირ(ებ)ისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13. პერსონალური მონაცემების დამუშავება

სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით/პრემიის გადახდით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დავამუშაოთ: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) ჩვენი ინტერესების დაცვის მიზნით, გ) ჩვენს მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით და დ) ზარალის დარეგულირების მიზნებით. აღნიშნული მიზნებისათვის, ჩვენ ასევე უფლებამოსილი ვართ ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების

11. DISPUTE RESOLUTION

Any disputes or controversies arising from the present Insurance Conditions shall be solved through negotiations. In case the parties fail to reach an agreement, the dispute shall be solved in the Georgian court, in accordance with the legislation of Georgia.

12. CONFIDENTIALITY

Any information exchanged by the parties (whether verbally or in writing) shall be deemed confidential and must not be disclosed to the third parties without a preliminary consent of the other party, except when such disclosure is required by the current Georgian legislation or the present Conditions.

13. PERSONAL DATA PROCESSING

By signing the Insurance Policy / paying the premium You entitle Us to process Your personal data received on the basis of insurance agreement, including special category data, for the purpose of a) providing insurance services; b) protecting Our interests; c) performing Our contractual and/or legal liabilities; and d) claims settlement. For the same purposes, We are also entitled to request Your/Insured's personal information and/or other necessary documents from any private or public company, including MIA Service Agency or State Services Development Agency.

განვითარების სააგენტოდან, გამოვითხოვთ თქვენი /დაზღვეულის პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით/პრემიის გადახდით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, დავამუშაოთ ჩვენთვის მოწოდებული პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესთავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოგვთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის ჩვენს მიერ გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - ჩვენთვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მომართვის გზით.

სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით/პრემიის გადახდით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების ან/და ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევების მიზნით დავამუშაოთ, მათ შორის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ თქვენი/დაზღვეულის პერსონალური მონაცემები.

სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით/პრემიის გადახდით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, თქვენთან სადაზღვევო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია (მოქმედების ვადა, სტატუსი, სადაზღვევო პრემია და სხვა) დავამუშაოთ, მათ შორის ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი აგენტ(ებ)ისათვის ან/და პარტნიორი ორგანიზაციებისათვის, რომელსაც/რომლებსაც ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა ესაჭიროებათ მათი უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის და ჩვენს მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებისათვის.

სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით/პრემიის გადახდით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, სადაზღვევო შემთხვევის

By signing the Insurance Policy / paying the premium You entitle Us to process Your personal data received on the basis of insurance agreement, for direct marketing purposes, namely to offer new insurance products and services. The data subject may at any time request that We stop using his/her data for direct marketing purposes in the same form as the direct marketing - in writing or via telecommunication.

By signing the Insurance Policy / paying the premium You entitle Us to process Your personal data and make it available for our partner organizations, for the purpose of providing insurance services and/or quality control and/or other insurance related studies.

By signing the Insurance Policy / paying the premium You entitle Us to process Your insurance information (insurance period, status, insurance premium, etc.) in order to perform our contractual or legal liabilities, and to make it available for our agent(s) and/or partner organizations who need it to properly perform their duties.

By signing the Insurance policy / paying the premium You entitle Us in case of the insured event to pass Your/Insured's full

დადგომისას, ჩვენს ხელთ არსებული თქვენი/დაზღვეული პერსონალური მონაცემების შემცველი სრული ინფორმაცია, ასევე სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო შემთხვევაში მონაწილე ყველა პირის შესახებ ინფორმაცია, დადგენილი წესით მივაწოდოთ შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიურო“-ს (საიდენტ. კოდი 204558433).

personal data to the Insurance Information Bureau LLC (identification code 204558433), as well as information about the insured event and its participants.

დამატებითი დაფარვა / ADDITIONAL COVERAGE

სამომგზაურო დაზღვევის პირობები / TRAVEL INSURANCE TERMS AND CONDITIONS #TRU/001/26

ტერმინთა განმარტება / DEFINITIONS

ავიარეისი / FLIGHT

ავიაგადაყვანა, რომლის ნომერი, მარშრუტი, თარიღი და დრო მითითებულია დაზღვეულის ელექტრონულ ბილეთში, ან ავიაკომპანიის მიერ გაცემულ ცნობაში / Air flight, the number, itinerary and time of which is indicated in the electronic ticket or certificate issued by the air carrier.

დარეგისტრირებული ბარგი / REGISTERED LUGGAGE

დაზღვეულის მიერ ავიარეისზე დარეგისტრირებული ბარგი, რომელიც გადაეცემა ავიაკომპანიას ავიარეისის შესრულების დროს თვითმფრინავის საბარგულში გადასაზიდად. რეგისტრირებულ ბარგზე უნდა იყოს დატანილი საჭდი, რომლის მეორე იდენტური ეგზემპლარი ჩასხდომის ტალონთან ერთად გადაეცემა დაზღვეულს / Insured's luggage registered for the flight passed to the air carrier for transportation in the baggage compartment. Registered luggage will have a tag, the second identical copy of which will be kept by the Insured.

ბარგის დაზღვევა

LUGGAGE INSURANCE

1. ბარგის დაკარგვა

1.1 რა არის დაფარული

დაფარვა ითვალისწინებს, დაფარული მოგზაურობის პერიოდში, დაზღვეულის მიერ ავიაკომპანიისთვის მიბარებული, დარეგისტრირებული ბარგის დაკარგვას. ბარგი ითვლება დაკარგულად, თუ იგი ვერ მოიძებნა ავიარეისის დასრულებიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის განმავლობაში, რაც უნდა დასტურდებოდეს ავიაკომპანიის მიერ გაცემული შესაბამისი საბუთებით.

1. LOSS OF LUGGAGE

1.1 WHAT IS COVERED

This cover applies to the loss of the Insured's registered luggage. The luggage shall be deemed lost, if it could not be found within 21 (twenty-one) calendar days after the completion of flight, which must be confirmed by the document issued by the Airline Company.

ჩვენს მიერ ასანაზრაურებელი თანხა შემოიფარგლება სადაზღვევო პოლისში ან მის დანართში მითითებული ლიმიტით და განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 25 (ოცდახუთი) ევრო/აშშ დოლარი თითოეულ კილოგრამზე, ბარგის საჭდში მითითებული ჩაბარებული ბარგის წონის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 500 (ოთხასი) ევროსი/აშშ დოლარისა დაზღვეულზე.
- იმ შემთხვევაში, თუ ბარგის დარეგისტრირებისას არ მოხდა ჩაბარებული ბარგის წონის დაფიქსირება, ანაზღაურება მოხდება ბილეთში დაფიქსირებული დარეგისტრირებული ბარგის მაქსიმალური დასაშვები წონის მიხედვით.

დაფარვისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი და ქველიმიტები მოცემულია დანართი #1-ის შესაბამის ცხრილში.

1.2 გამონაკლისები

ბარგის დაკარგვა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ:

- ის განპირობებულია დაზღვეულის განზრახი ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით, საჭაერო ტრანსპორტით სარგებლობის დადგენილი წესების უგულვებელყოფით;
- ბარგი ჩამორთმეულ ან/და განადგურებულ იქნა ოფიციალური სამართალდამცავი ორგანოების მიერ;
- დაზღვეული არ წარმოდგენს წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ ან/და მოთხოვნილ საბუთებს;
- ასევე არ ანაზღაურდება ბარგიდან ნივთების დაკარგვა.

1.3 დაზღვეულის ქმედებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- დარეგისტრირებული ბარგის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, აეროპორტის ტერიტორიის დატოვებამდე, მიმართეთ აეროპორტის დაკარგული ბარგის (Lost and Found) ოფისს, წარადგინეთ ჩასხდომის ბარათი და ბარგის საჭდი და დააფიქსირეთ ბარგის დაკარგვის ფაქტი სპეციალური ფორმის (PIR-აქტი) შევსების გზით.

The amount of reimbursement includes the following amounts within the limits indicated in the Insurance Policy or any of its attachments:

- EUR/USD 25 (twenty five) per 1 kg, according to the weight indicated in the luggage tag, not exceeding, however, EUR/USD 500 (five hundred);
- If the weight of luggage was not recorded, the amount of reimbursement shall be calculated based on the maximal allowed weight indicated in the ticket.

Cover limit and sub-limits as per schedule in the Attachment #1 below.

1.2 EXCLUSIONS

No reimbursement shall be paid if:

- The luggage was lost in the result of willful misconduct, gross negligence, or breach of any air travel rules;
- The luggage was seized and / or destroyed by official law enforcement authorities;
- The Insured fails to present any of the documents provided by these Conditions and/or additionally requested by the Insurer;
- Loss of any separate items of luggage will not be reimbursed.

1.3 WHAT TO DO IN CASE OF THE INSURED EVENT

- Immediately upon becoming aware of the loss of luggage and before leaving the airport territory, refer to the Lost and Found Office, present the boarding pass and luggage tag, and declare the fact of loss by completing the PIR form.

- დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, დაგვიკავშირდით სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე ან მოგვწერეთ შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე: travel@tbcinsurance.ge
- რეისის დასრულებიდან 21 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ და ავიაკომპანიის მიერ ბარგის დაკარგულად აღიარებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, წარმოადგინეთ შემდეგი დოკუმენტები:
 - PIR-აქტი და ბარგის დაკარგვის ცნობა;
 - პასპორტის ასლი/ფოტო;
 - ავიაბილეთი, ჩასხდომის ტალონი და ბარგის ჩაბარების საჭდი;
 - საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.
- Immediately and no later than within 48 hours notify Us using contact details provided in the Policy or e-mail Us at: travel@tbcinsurance.ge
- Upon expiry of 21 (twenty-one) days after completion of flight or within 30 (thirty) calendar days after the Airline Company admits the loss, present to Us the following documents:
 - PIR form and a letter certifying the loss of luggage;
 - Copy/photo of the passport;
 - Copies/photos of airline ticket, boarding pass and luggage tag;
 - Details of the bank account.

დანართი #1 / Attachment #1

სამედიცინო მომსახურება, ლიმიტები და ქველიმიტები / MEDICAL SERVICES, LIMITS AND SUBLIMITS

მომსახურება / Service	მომსახურების ქველიმიტები / Sub-limits per Service	ფრანშიზა არჩაული პოლისის მიხედვით / Deductible per Policy type
REDMED-ის ვიდეო/აუდიო რჩევა (კონსულტაცია) / REDMED video/audio consultations	ულიმიტო / Unlimited	0
სასწრაფო სამედიცინო დახმარება / Ambulance Services	1,000 €//\$	80 €//\$
გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობა / Urgent Out-patient Care	5,000 €//\$	80 €//\$
გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობა / Urgent In-patient Care	30,000 €//\$ ჯამური ლიმიტი / Aggregate limit	80 €//\$
გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში / Urgent in-patient treatment in ICU	1,000 €//\$ საწოლ დღეზე / Per bed day	80 €//\$
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება / Urgent Dental Care	1,000 €//\$	80 €//\$
გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მკურნალობა / Urgent Ophthalmology Care	1,000 €//\$	80 €//\$
სამედიცინო ევაკუაცია, რეპატრიაცია / Medical evacuation, Repatriation	20,000 €//\$	0
ბარგის დაკარგვა / Loss of luggage	500 €//\$ 25 €//\$ /კგ/per kg	0
ჯამური ლიმიტი / TOTAL LIMIT	50,000 €//\$	